

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო  
უნივერსიტეტი



სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

## ქურციკიდე თამარ

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ისტორია

## საქართველოში

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

ხიჯაური

## ანოტაცია

საქართველოში თვითმმართველობის ინსტიტუტმა მეტად რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. დროსა და სივრცეში საგარეო და საშინაო პოლიტიკური მოვლენების ცვალებადობამ თვითმმართველობის ინსტიტუტის არასტაბილური მდგომარეობა განაპირობა.

ჩემი საკვლევით თემაა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ისტორია საქართველოში. ნაშრომი განსაკუთრებული ყურადღება პოლიტიკურ მხარეზეა გამახვილებული. გავეცანი რამასაღებს შესაბამისი ლიტერატურებიდან, ინტერნეტ და მედია საშუალებებიდან და შევეცადე პასუხი გამეცა კითხვაზე, რატომ არის თვითმმართველობის ინსტიტუტის განვითარებისა და დამოუკიდებლობის საკითხი ერთერთი ყველაზე აქტუალური საკითხი.

## **Annotation**

The Institute of Local Self-Governance in Georgia has gone through a difficult and contradictory way. The changing of foreign and domestic political events in time has caused unstable state of self-governance. My research is the history of development of local self-government in Georgia in which Particular attention is paid to the political side, I am familiar with the materials from the relevant literature, from the newspapers of the Old and New Times, As well as from internet and media outlets, I tried to answer the question Why the Self-Government Institute is one of the most pressing issues of all time.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი .....5

### თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობა შუა საუკუნეებში

- 1.1 ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება.....
- 1.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში....
- 1.3 ადგილობრივი თვითმმართველობა რუსეთის იმპერიის დროს.....

### თავი II. ადგილობრივი თვითმმართველობა 20 საუკუნეში

- 2.1. თვითმმართველობა დემოკრატიულ სახელმწიფოში(1918-1921)...
- 2.2. ადგილობრივი თვითმმართველობა საბჭოთა ხელისუფლების დროს...
- 2.3. ადგილობრივი თვითმმართველობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ....

### თავი III. უახლოესი დროის ადგილობრივი თვითმმართველობა

- 3.1. ადგილობრივი თვითმმართველობა საპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს...
- 3.2. ადგილობრივი თვითმმართველობა ნახევარსაპრეზიდენტო რესპუბლიკის წყობის დროს.....
- 3.3. ადგილობრივი თვითმმართველობა საპარლამენტო რესპუბლიკის დროს....
- 3.4. თვითმმართველი ქალაქები.....
  - დასკვნა.....
  - გამოყენებული ლიტერატურა.....

## შესავალი

სტრუქტურულად წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემის სახითაა მოცემული. მაშასადამე, აღნიშნული ინსტიტუტი ჩვენში ვითარდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციის ევროპული სისტემის მიხედვით, რომლისთვისაც დამახასიათებელია თვითმმართველობის ინსტიტუტს განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მრავალი ათეულობით წლის მანძილზე იგი რუსული ადგილობრივი მმართველობის სისტემის სახით იყო წარმოდგენილი. 1918-1921 წლებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შექმნილმა თემებისა და ერობების სისტემამ მალე შეწყვიტა არსებობა საბჭოთა ხელისუფლების იძულებით დამყარების გამო, რასაც შედეგად მოჰყვა ადგილობრივი საბჭოების სისტემის ჩამოყალიბება. მისი ძირითადი მახასიათებელი იყო ის, რომ არსებობის მთელ მანძილზე თვითმმართველობა განიხილებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ შემადგენელ რგოლად და არ არსებობდა უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფო და თვითმმართველობის

ამჟამად, საქართველოში წარმოდგენილი თვითმმართველობის ინსტიტუტი თვითმმართველობისა და მმართველობის ურთიერთშეხამება და კოორდინაცია, რიორგანოებს შორის.თაც იგი განსხვავდება ანგლო-ამერიკული სისტემისაგან, რომელსაც ახასიათებს გამოკვეთილი ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოს ქვემდგომ ყველა დონეზე.

**ნაშრომის მიზანია** გავიგო ისტორიულ მოვლენებზე დაყრდნობით, თვითმმართველობის ინსტიტუტის როლი საზოგადოებაში. ცალკეულ ეტაპზე სისტემის უფლებების და ვალდებულებების შესახებ.

**კვლევის მეთოდი.** ნაშრომი დაყრდნობილია ზუსტ მონაცემებზე, გავიყვანი საუკუნეების განმავლობაში ამ ინსტიტუტის საქმიანობას და ხაზგასმით გამოვყავი მნიშვნელოვანი ასპექტები.

**კვლევის ძირითადი მიზანი.** შემესწავლა თვითმმართველობა როგორც ინსტიტუტი მისი საქმიანობა უფლებები და ვალდებულებები. ასევე განმესაზღვრა საზოგადოების როლი ორგანოს საქმიანობის სწორად წარმართვაში. ნაშრომში გამოკვეთილია სახელმწიფო მმართველობით რგოლში თვითმმართველობის ადგილი.

**სამაგისტრო ნაშრომის სიახლე.** ფაქტები შესწავლილია ისტორიულ მოვლენებზე, ჩვენ ვიცით თუ რა არის თვითმმართველობა და რა ვალდებულებები აქვს მას საზოგადოების წინაშე, თუმცა არ ვიცით ამ კუთხით რა სიახლე გვლის მომავალში, რადგან ყველაფერი პოლიტიკურ მოვლენებზეა დამოკიდებული. ჩვენი სიახლე ბოლო წლებში განხორციელებული მოვლენებია.

**პრაქტიკული ღირებულება.** ნაშრომზე მუშაობისას მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ისტორიული ფაქტების ეტაპ-ეტაპ განხილვით ვიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, თვითმმართველობის ინსტიტუტის როლზე სხვა და სხვა დროს და ასევე ავლწერთ იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს თავის დროზე მსგავსი სიტემების ჩამოყალიბებაში.

**სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება სამი თავისგან, რომელშიც გაერთიანებულია ათი ქვეთავი, თავები ერთმანეთს უკავშირდება ქრონოლოგიურად. პირველი თავი მოგვითხრობს თვითმმართველობის წარმოშობაზე, მის განვითარებაზე შუა საუკუნეების პერიოდამდე, მეორე თავში საუბარია რუსულ და საბჭოურ წყობაზე მათ დიდ როლზე ამ სისტემის განვითარების კუთხით, ხოლო მესამე თავში უახლოეს ისტორიაზე ვყვებით, საპრეზიდენტო, ნახევარსაპრეზიდენტო და საპარლამენტო წყობის დროს თვითმმართველობის ინსტიტუტის როლზე და ბოლოს, მოყვანილი მაქვს ორგანული კანონები კონსტიტუციიდან თვითმმართველობის უფლებების თავისუფლებების და ვალდებულებების შესახებ.

ნაშრომი ხაზგასმითაა აღნიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის განვითარების ისტორიული ეტაპები, მოთხრობილია ცნობილი პოლიტიკური პირების შესახებ, ასევე ვთავაზობთ ციტატას ჩვენთვის ყველასთვის მისაბაძი პიროვნების ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან, რომელიც განსაკუთრებით ჩანს მისი პატრიოტული სული და ასევე საუბრობს ჩვენი თემის აქტუალურ საკითხზე სახელმწიფოებრივობაზე.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ნაშრომის საკვლევემა საგნებმა ერთგვარად ამომწურავი ინფორმაცია მოგვცა თვითმმართველობის ინსტიტუტის განვითარებაზე.

## **თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობა შუა საუკუნეებამდე**

### **1.1 ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება**

ადგილობრივ თვითმმართველობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მსგავსი ტიპის ჩანასახები ჩვენს ქვეყანაში უძველესი დროიდან შეიმჩნეოდა, პირველ მეორე საუკუნეში არსებობდა მინათმოქმედი მოსახლეობის გაერთიანება, ხოლო საქალაქო ორგანიზაციული მოწყობის ელემენტები ჯერ კიდევ უძველესი კოლხური სახელმწიფოებრივობის პერიოდში ყალიბდებოდა. საქართველო-ს სხვა და სხვა ტერიტორიებზე მოსახლეობა ერთიანდებოდა რაღაც ნიშნით და იქნებოდა სხვა და სხვა თვითმმართველობები (ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფები, ებრაელთა თემები, მთიელთა ტერიტორიული გაერთიანებები და სხვა), წარმოქმნას წინ უძღვოდა საკმაოდ მრავალფეროვანი თვითორგანიზებული ღონისძიებები. დროის მსვლელობის კვალ და კვალ ხდებოდა ამ ინსტიტუტის განვითარება შემდგომში კი თვითმმართველობა ჩამოყალიბდა ცალკეულ დამოუკიდებელ ერთეულად და მას კანონის სახე მიეცა.

- **ადგილობრივი თვითმმართველობა** არის საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლება, შესაძლებლობა და

პასუხისმგებლობა, დადგენილი წესით, თვითმმართველობის ერთეულებში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად გადანყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღებად.[საქართველოს კონსტიტუცია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ]

- **ადგილობრივი მმართველობა** არის კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა, რომელიც ადგილებზე, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

საქართველოს კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობას აღიარებს როგორც მმართველობის დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველსა და პირობას. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების კონსტიტუციური საფუძვლები მოცემულია კონსტიტუციის ზოგადი დებულებების მე-2 მუხლში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციურმა კანონმდებელმა მადგილობრივი ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება, მათი სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხის გადანყვიტა ორგანულ კანონს მიანდო. საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 16 ოქტომბერს მიიღო კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომლითაც აღნიშნული საკითხები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობაში, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე.[საქართველოს კონსტიტუცია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ] საქართველოს კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობას აღიარებს, როგორც მმართველობის დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ



აუცილებელ საფუძველსა და პირობას, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების კონსტიტუციური საფუძვლები მოცემულია კონსტიტუციის ზოგადი დებულების მეორე მუხლში. ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად კონსტიტუციურმა კანონმდებელმა ადგილობრივი ორგანოების შექმნის წესი და უფლებამოსილება მათი სახელმწიფო ორგანოების კანონს მიანდო. საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 16 ოქტომბერს მიიღო კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის“ შესახებ, რომლითაც აღნიშნული საკითხები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის მესამე პუნქტთან შესაბამისობაში, საქართველოს ტერიტორიული მონაცობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე.

## 1.2 ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესი

### საქართველოში

საქართველოში ისევე, როგორც სხვა ბევრი ფაქტორის თვითმმართველობის განვითარებას ხელი შეუშალა საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა მოვლენებმა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მოგვსენებათ ხშირი იყო შიდა და გარე ომები, ხშირად წინსვლის და განვითარების დინამიკა მკვეთრად უარესდებოდა. გვყავდა რეფორმატორი მმართველები, რომლებიც ახერხებდნენ ქვეყნის პოლიტიკური მხარის სწორად მონაცობას. საქართველოში ქალაქების ოლქების თუ სხვა და სხვა ტერიტორიული გაერთიანების ხელმძღვანელები ზუსტად იმ ქვეყნების ტიტულს ატარებდნენ, რომლის შემადგენლობაშიც იმ პერიოდში შედიოდნენ: მივყვეთ მმართველობითი სისტემის განვითარების ქრონოლოგიას:

პირველად ქართული სახელმწიფოს ადმინისტრაციული დაყოფა ჯერ კიდევ ძვ. წ. 4-3 საუკუნის მიჯნაზე მოხდა როცა ფარნავაზმა ქვეყანა დაყო 8 საერისთაოდ და ცენტრალურ რეგიონად, ამგვარი დაყოფა შემდგომშიც შენარჩუნდა და 6-8 საუკუნეში საერისთაოებიც გაიზარდა დრო და დრო ხდებოდა სისტემის დახვეწა. 11-12 საუკუნეში ბაგრატიონთა დინასტიის მიერ საქართველოს გაერთიანებას და ქვეყნის საზღვრების დასტაბილურებას მოჰყვა საერისთაოების იერარქიული

სტრუქტურის გართულებაც.<sup>11</sup> საუკუნეში იერარქიულ სტრუქტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი დავით 4-ე აღმაშენებელს მიუძღვის, რომლის მმართველობის ფორმა დღესაც აქტუალურია. დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ადმინისტრაციულ მონყოლას. XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქვეყანაში შექმნილმა კრიზისმა მოშალა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მმართველობა. დავითის მიერ გატარებული დიდი გარდაქმნები, უპირველესად, სამეფო კარსა და იქ არსებულ უწყებებს შეეხო: შეიქმნა ახალი თანამდებობები; მეფემ მოაწესრიგა მმართველობა — როგორც საერისთავოებში, ასევე ქალაქებში. დაითხოვა ურჩი მოხელეები და მათ ადგილას თავისი ნდობით აღჭურვილი პირები დანიშნა. ქალაქებს ერისმთავრები დაუწესა, რომელთა მმართველობის ფორმა წააგავდა თვითმმართველობის დღევანდელ ფორმას, თუმცა დავითი თავის დაზღვევის მიზნით მათ მოთვალთვალე პირებს უგზავნიდა, რომლებიც უშუალოდ აკირდებოდნენ მოხელეების საქმიანობას. ცხადია, მონარქიულ სახელმწიფოში სადაც ერთპიროვნული მმართველობაა გამეფებული ცალკეული ქალაქებისა თუ საერისთავოების მმართველები დამოუკიდებლები ვერ იქნებოდნენ.

8-9 საუკუნეში თბილისში ცალკე ჩამოყალიბდა ვაჭარ ხელოსანთა თვითმმართველობა, რომლის სათავეში ქალაქის უხუცესები ჩაუდგნენ, მათ ებარათ „ქალაქის კლიტენი“, და ევალეობდათ მცველთა რაზმის მეთაურობა, სამართალწარმოება და მოსახლეობის სურსათ სანოვაგით მომარაგება. ეს ის თანამდებობებია, რომლებიც მონარქიული სახელმწიფოს თვითმმართველობის ე.წ მოდელს წარმოადგენს. უმნიშვნელო ცვლილებები სხვა და სხვა მეფის დროსაც ხდებოდა, თუმცა პერიოდულად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები იმდენად ხესაყრელ პირობას არ იძლეოდა თვითმმართველობის განვითარების კუთხით.

1122 წელს, როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო საქართველოს ყველა ქალაქი მეფის მმართველობის ქვეშ მოექცა და ცენტრალიზებული მმართველობა ჩამოყალიბდა, რომლის შედეგადაც სამეფოს დედაქალაქი ავტონომიასა და თვითმმართველობის უფლებას ინარჩუნებდა. ეს პერიოდია როცა ქალაქს ამირები

განაგებდნენ.ეს ყველაფერი ცხადყოფს,რომ თვითმმართველობის გარკვეული კლასიკური ფორმების ცამოყალიბების მცდელობა შუა საუკუნეებში შეიმჩნეოდა.შემდგომში არსებულმა მძიმე ვითარებებმა,საშინაო და საგარეო ომებმა კი განვითარების პროცესისი შეჩერება გამოიწვია.მოგვიანებით ისევ იწყება საქართველოს ტერიტორიულ -ადმინისტრაციული დაყოფის და მმართვეის ფორმის ჩამოყალიბება.ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მართვის ზირითადი ერთეული ეს იყო სათავადოები,რაც შეეხება დედაქალაქს აქ სათავეში მოურავი იყო,რომელსაც მეფე ნიშნავდა.თბილისის პირველი მოურავი იყო გიორგი სააკაძე.დიდი დავითის კვალს გაყვა თამარ მეფე,რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა:მან შექმნა ცალკეული სამოხელეო აპარატი,რომელიც შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

#### **მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი**

- 1.ანტონ გნოლისთავისძე — 1178–1185
- 2.მიქაელ მირიანისძე — 1184<sup>[49]</sup>/1185–1190
- 3.ანტონ გნოლისთავისძე — 1190–1203/1204
- 4.თეოდორე — 1205-დან

#### **ამირსპასალარი**

- 1.ყუბასარი — 1178–1184
- 2.სარგის მხარგრძელი — 1185–1187
- 3.გამრეკველი თორელი — 1187–1189
- 4.ჭიაბერი — 1190
- 5.ზაქარია მხარგრძელი — 1191–1212

#### **მანდატურთუხუცესი**

- 1.ყუბასარი — 1178–1184
- 2.ჭიაბერი — 1185–1195
- 3.ზაქარია მხარგრძელი — 1195–1202/1203

4. შალვა ახალციხელი — 1202/1203–1215

### მეჭურჭლეთუხუცესი

1. ყუთლუ-არსლანი — 1178–1185

2. კახაბერ ვარდანისძე და აბულასანი — 1185–1188

3. შალვა ახალციხელი — 1188–1202/1203

4. ოვსიყმა — 1202/1203–1220 (დაახლ.)

### მსახურთუხუცესი

1. აფრიდონი — 1178–1184

2. ვარდან დადიანი — 1185–1191

3. ივანე მხარგრძელი — 1191–1212

თითოეული მათგანი ხელმძღვანელობდა ცალკეულ სტრუქტურებს, თუმცა ცხადია უმაღლესი ხელისუფალის დაქვემდებარების ქვეშ.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თვითმმართველობა როგორც ინსტიტუტი არათორმალურ ხასიათს ატარებდა და მისი განვითარება როგორც ცალკეული ორგანო არ ხდებოდა.

### **1.3 ადგილობრივი თვითმმართველობა რუსეთის იმპერიის მმართველობის დროს**

ქართული სამეფო სამთავროების შესვლას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ადმინისტრაციული მოწყობის მოდელის გავრცელება მოჰყვა ეს ის დროა როცა ქალაქს მართავს პოლიცია, პოლიცია არის არა სამართალდამცავი სტრუქტურა არამედ სახელმწიფო პოლიტიკის მკაცრად გამტაებელი ორგანო. მიუხედავად რუსეთის ქვეშემრდომობისა ქართველი ხალხის

მისწრაფება სულიერი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ არ დაკნინებულა, წარჩინებული ქართველობა ცდილობდა პატარ პატარა გაერთიანებების შექმნას, მაგრამ როცა ხელისუფლება ამის შესახებ იგებდა ორგანიზატორები მკაცრად ისჯებოდნენ.

რუსეთის იმპერია ძირფესვიანად ნერგავდა იმპერიალისტურ პოლიტიკას საქართველოში და 1840 წელს თბილისში შეიქმნა საქართველოს თვითმმართველობის ჩანასახი გამგეობა, რომლის მეთაურები არჩეული იყო ქალაქის თავისა და უძრავი ქონების მფლობელების ვაჭრებისა და ხელოსნების მიერ პროპორციის დაცვით.6 ხმონის შემადგენლობით.

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ რასაც ეს ორგანო თავის პასუხისმგებლობად მიიჩნევდა გადასახადების აკრეფა იყო.

როდესაც 1846 წელს ამიერკავკასია 5 გუბერნიად დაიყო თბილისი და ქუთაისი რუსეთის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, აქ ჭარბობდნენ რელიგიური და ეროვნული უმცირესობები, ამიერკავკასიას მართავდა გენერალ-გუბერნატორი, 1881 წლებში კი ის ჩანაცვლებული იქნა მეფისნაცვლის ინსტიტუტით.

თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი ერთეულები: ახალციხე, ახალქალაქი, ბორჩალო, დუშეთი, თიანეთი, თელავის და სიღნაღის მაზრები (ასევე თუშეთშავ-ხევსურთა, მთიელთა და ოსთა ოლქები) და ზაქათალის ოკრუგი.

ხოლო ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა:

ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრები-სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოკრუგები.

1866 შემუშავდა თბილის მართვის ახალი დებულება, რომელიც 100 ხმონისგან შედგებოდა. 1870 წლის 16 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე 2 ემ დაამტკიცა საქალაქო დებულება, რომლის მიხედვითაც საქალაქო თვითმმართველობის კომპეტენციაში შედიოდა თანამდებობის პირთა არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, საქალაქო საქმეთა განხილვა და სხვა.

1870 წელს საქალაქო დებულების საფუძველზე შეიქმნა თვითმმართველობის სისტემა, რომელიც ეტაპობრივად იწერებოდა სხვა და სხვა ქალაქებში.

1874 წლის 18 ნოემბერს თბილისში ჩატარდა ქალაქის სათათბიროს პირველი არჩევნები, რომლის დროსაც აირჩიეს 72 ხმოსანი. 1875 წელს კი ქალაქის მმართველად აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი იგი ქალაქს სამი წლის განმავლობაში მართავდა. თანდათან იწყება მოსახლეობის სხვა და სხვა სოციალურ ფენებზე ორიენტირებული სპეციალური სამმართველოების ჩამოყალიბება.

1875წელს აირჩიეს ქუთაისის საკრებულო.

1876 წელს შეიქმნა გორისა და ახალციხის საკრებულოები.

1882წელს შეიქმნა ფოთის თვითმმართველობა.

ბათუმი-1888წელი;

თელავი 1892-წელი;

სიღნაღი-1892წელი;

ოზურგეთი-1892წელი;

სოხუმი-1892წელი;

განვითარება თანდათან გავრცელებას იწყებს სოფლებში და იქმნება სასოფლო საზოგადოებრივი მმართველობის უნიფიცირებული სისტემა. დრო და დრო იწყება ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობის ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სოფლებში გლეხთა ოჯახების ყველა სრულწლოვან წევრს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს იმ ეტაპზე უმაღლესი ორგანოს სასოფლო კრების მუშაობასა და თანამდებობის პირების არჩევაში. კრება იღებდა გადაწყვეტილებებს მოსახლეობის მიმართ ვალდებულებებსა და მოვალეობებზე მათწინაშე. ეს ეხებოდა გაჭირვებული ოჯახების დახმარებას, ობლებსთვის მეურვეოის მინიჭებაზე, სოფლიდან დამნაშავეების გაძევებას, უზრუნველყოფდა გადასახადების აკრეფას და სხვ.

სოფლის მმართველების კვებისა და ჯანდაცვის ხარჯები მოსახლეობის კისერზე იყო ისევე როგორც სოფელში სარწყავი სისტემის, გზების, მაღაზიებისა და საჯარო დაწესებულებების შენახვის ხარჯები, რამაც განაპირობა მოსახლეობის სიდუხჭირე. უკმაყოფილო მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინათ დამოუკიდებელი ორგანოს მსგავსი სიტემა ამ მიზნით 19 საუკუნის 80იან წლებში ყალიბდება გლეხთა გაერთიანებები ე.წ სასოფლო

საზოგადოება. მიუხედავად ამისა რუსეთი თავის პოლიტიკას არ ცვლიდა და ქალაქის მმართვეის რეფორმის აქტივიზაციის ხარჯზე სოფლის მართვის სფეროში ვითარება უცვლელი რჩებოდა. სასოფლო საზოგადოებრივი მმართველობის აღმასრულებელი ფუნქცია სოფლის მამასახლის ეკისრებოდა, რომელიც სოფელში ცენტრალური ხელისუფლების სამთავრობო აგენტის როლს ასრულებდა. მამასახლის მოვალეობის შესრულებაში სოფლის ნაცვალი და გადასახადის ამკრეფი ეხმარებოდა. სოფელს ჰქონდა საკუთარი სასოფლო სასამართლო, თანამდებობის პირები სამი წლის ვადით ირჩეოდნენ. მათალია სასოფლო-საზოგადოებრივი მმართველობა პროგრესირებოდა, მაგრამ დასაწყისში მისი მოქმედება მაინც არ იყო საკმარისად ეფექტური მოსახლეობის ინტერესის გატარებისთვის. 1914 წელს საქართველოში განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში შემუშავდა ადგილობრივი თვითმმართველობის რადიკალურად შეცვლის კონცეფცია, ამ პერიოდში ჩამოყალიბებული პრინციპები გახდა საფუძველი რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩამოყალიბებულიყო თვითმმართველობის უფრო გამართული სისტემა.

## თავი II. ადგილობრივი თვითმმართველობა XX საუკუნეში

### 2.1 თვითმმართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

1918 წლის 26 მაისს საქართველომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. დაკომპლექტდა კოალიციური მთავრობა, რომელშიც სხვადასხვა პარტია იყო წარმოდგენილი. საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა უფრო ადრე ფორმირებულ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელსაც 1918 წლის ოქტომბერს საქართველოს პარლამენტი ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი იყო მეტად წარმომადგენლობითი, მასში შედიოდნენ ეთნიკური, თუ რელიგიური უმცირესობები, იგი ვერ ჩაითვლებოდა უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე ორგანოდ, რადგან არ იყო მოსახლეობის მიერ არჩეული. შესაბამისად გადაწყდა, რომ არჩევნები 1919 წლის თებერვალში უნდა ჩატარებულიყო.(წყარო ვიკიბედია).

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში,რომელიც 3 წელს გაგრძელდა ვერ მოესწრო რუსეთის მიერ დამკვიდრებული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ძირეულად შეცვლა.ამ პერიოდში არსებული მმართვეის მოდელი ფუნქციონირებდა სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ.1919 წელს გაიმართა საერობო და საქალაქო არევნები 34 ქალაქში.აირჩიეს ხმოსანთა ჯგუფი,რომელთა რაოდენობაც განსხვავებული იყო.ეს არჩევნები ცნობილია როგორც პირველ საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნები საქართველოში

1919 წლის არჩევნები გამორჩეული იყო საყოველთაოობის მაღალი ხარისხით - საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობამ ხმის მიცემის უფლებას მისცა 20 წლის ასაკიდან ყველა მოქალაქეს სქესისა და წარმომავლობის განურჩევლად. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს 5 ქალი, მაშინ როდესაც იმდროინდელი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობაში ქალებს ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ. გარდა ქალთა ჩართულობისა, არჩევნებში ხმის მიცემისა და დეპუტატად არჩევის საშუალება მიეცათ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. სულ არჩევნებში მონაწილეობა 15-მა საარჩევნო სუბიექტმა მიიღო.(წყარო ვიკიბედია)



ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიზაციაში პროგრამული დოკუმენტის როლი 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციას უნდა შეესრულებინა, რომლის X თავში მოცემულია ნორმები ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის შესახებ. ამ კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით. იმავდროულად, ადგილობრივი მართველობის ორგანოსა და მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს, ხოლო თავისი ტერიტორიაზე კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმეებს დამოუკიდებლად განაგებს. მას უფლება აქვს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცეს „სავალდებულო დადგენილებები. მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილებები და განკარგულებები, თუ ისინი ეწინააღმდეგება კანონს, მაგრამ მათი გაუქმების საკითხი აუცილებლად სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. [წყარო დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი, მამუკა აბულაძე, ოთარ კონჯარია. ადგილობრივი თვითმმართველობა] კონსტიტუციის საფუძველზე განზრახული იყო ქვეყნის ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობის ცვლილება, გეგმაში იყო შექმნილიყო სამი ავტონომიური ერთეული: აფხაზეთის ავტონომიური ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს და ზაქათალას ოლქი; ასევე იგეგმებოდა ტერიტორიის დაყოფა 19 ერთეულად, რომელშიც დედაქალაქი ცალკე ერთეულს წარმოადგენდა. ამ რეფორმის კონცეპტუალურმა იდეებმა ასახვა პოვა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში. კონსტიტუციაში. თუმცაღა ამ ყველაფერს განხორციელება არ ეწერა რადგან კონსტიტუციის მიღებიდან 4 დღეში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

## 2.2 ადგილობრივი თვითმმართველობა საბჭოთა ხელისუფლების დროს

როგორც წინა თავში აღვნიშნე დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციას თითქმის არ უმოქმედია, რადგან კონსტიტუციის მიღებიდან 4 დღეში საქართველოს

სახელმწიფოს თავზე საბჭოთა წითელი დროშა აფრიალდა,რამაც ბუნებრივია სახელმწიფოში საბჭოურ წყობას მისცა დასაბამი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იწყება საქართველოს პოლიტიკური წყობის ძირეულად შეცვლა .საქართველოში არა ჩვენი კონსტიტუციით არამედ 1922წელს მიღებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციით მოქმედებენ და შესაბამისად ამკვიდრებენ ადგილობრივი მართვის საბჭოურ მოდელს,რომელიც მოისაზრებს შემდეგს:იქმნება სამი ავტონომია:ათხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

სხვა ადმინისტრაციული ერთეულები იყოფა უფრო მცირე ერთეულებად - რაიონებად.საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველო დაიყო 69 რაიონად,ხოლო ქალაქები :ჭიათურა,ტყიბული,წყალტუბო და გაგრა გახდა ცენტრზე დამოკიდებული ტერიტორიები.ხოლო საქართველოს დიდი ქალაქები, როგორებიცაა:თბილისი,ქუთაისი,სოხუმი,ბათუმი,გორი,ფოთი,ზუგდიდი და ტყვარჩელი ცალკე ერთეულებად ითვლებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობის მთავარი პრინციპი პარტიული მმართველობის შემოღება იყო,რომელზეც ერთპიროვნულად კურირებდა ერთადერთი კომუნისტური პარტია,მათ საკავშირო რესპუბლიკებსა და რაიონებში,ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულებში თავიანთი წარმომადგენელი ყავდათ მივლინებული დაკონკრეტულ ლოკაციებშიც ისინი იღებდნენ გადაწყვეტილებასა, საბჭოური კანონებისა და პრინციპების სრული დაცვით.საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემსრულებლები იყვნენ.

1927,1937 და 1978 წლების „საბჭოთა კონსტიტუციებში“ადგილობრივი საბჭოები არამც თუ არ იყო დამოუკიდებელი,არამედ იგი განიხილებოდა,როგორც ერთიანი სახელმწიფო აპარატის ნაწილად.საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალიზებული აპარატი განსაზღვრავდა ვერტიკალური დაქვემდებარების ხისტ სისტემას,რომელიც იურიდიულად 1922წლის კონსტიტუციამ განამტკიცა,ამავე კონსტიტუციის თანახმად ხელისუფლების ყველა ძალა მასზე ზემდგომი ძალების დაქვემდებარებაში გადავიდა.1927წელს მიღებული კონსტიტუციის თანახმად კი კიდევ უფრო შეიზღუდა

ადგილობრივი საბჭოების უფლება,იგი უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა და შესაბამისად ზემდგომ ყრილობას თავისუფლად შეეძლო,მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანულირება.

1937 წლის კონსტიტუციის მიხედვით კიდევ უფრო ესმევა ხაზი რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მთლიან ცენტრალიზებულ სისტემას,ხელისუფლების ორგანოებში ხდება იურიდიული საფუძვლების ფორმულირება და საბჭოური მახასიათებელი კიდევ უფრო მტკიცდება,ადგილობრივი ხელისუფლება ვერ იღებდა გადაწყვეტილებას უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე.თუმცაღა აღსანიშნავია ისიც რომ 1927,1936 და 1978 წლის კონსტიტუცია ადგილობრივ ხელისუფლებას აღიარებდა როგორც დამოუკიდებელ ორგანოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში(ოთარ მელქაძე,ქართული მუნიციპალიზმი.გვ:60

საბჭოური სისტემის დ დროს ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ასე დაფუძნდა სახელმწიფო ორგანოები,რომელიც ხელისუფლების მკაცრ ცენტრალიზაციას და კონცენტრაციას განასახიერებდა.

ადგილზე მოხდა ხელისუფლების ორგანიზაციის საბაზისო პრინციპად მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები შემოიღეს,4488 სოფელი გაერთიანდა 942 სასოფლო საბჭოში,ანალოგიური საბჭოები იყო ყველა ქალაქსა და დაბაში.ეს საბჭოები შეადგენდნენ საბჭოური მმართველობის ერთიან ცენტრალიზებულ აპარატს.

დემოკრატიული ცენტრალიზაციის ერთ ერთი ორგანიზაციული სამართლებრივი გამოვლინება იყო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სასამართლოების,საჯარო დაწესებულებების აღმასრულებელი კომიტეტების და სხვა მნიშვნელოვანი ორგანოების ორმაგად დაქვემდებარება,რათა მხედველობიდან არ გამოპარვოდა მათი საქმიანობა.აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებლები იყვნენ ადგილობრივი საბჭოების წინაშე,რომელიც თავის მხრივ ანგარიშს უწევდა ზემდგომ საბჭოურ ორგანოს.საბიუჯეტო ორგანოებიც ასაფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობაში ანგარიშვალდებულები იყვნენ საბჭოური ხელისუფლების წინაშე.

რაც შეეხება უფლებამოსილების ვადებს ადგილობრივ საბჭოებში დროთა განმავლობაში იცვლებოდა 2 წლიდან 5 წლამდე.არჩევნების სტილი მოსახლეობის

სიმრავლიდან გამომდინარე წარმომადგენლობით ორგანოების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავდა, წარმომადგენლები სხვა საქმიანობასთან (საწარმოო ან სხვა სამსახუროებრივ საქმიანობასთან) ერთად იტვირთებდნენ ხოლმე ვალდებულებებს, ისინი აგანგარიშვალდებულები იყვნენ შრომითი კოლექტივისა და ამომრჩევლის წინაშე, რომლებსაც დრო და დრო წარუდგენდნენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ. ანგარიშის წარდგენას ესწრებოდნენ მხოლოდ გამორჩეული მოქალაქეები, (ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, პარტიის წევრები და მოწინავე გლეხები).

ტარდებოდა პარტიული ორგანიზაციის დახურული კრებები, რომლებსაც უძღვებოდნენ პარტ ორგანიზაციის მდივანი ხოლო დასწრების უფლება ჰქონდათ მხოლოდ პარტ ორგანიზაციის წევრებს და აქ განხილული საკითხები საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

გაურკვეველი მიზეზებიდან გამომდინარე შეიძლებოდა დეპუტატების გამოწვევა საბჭოთა შემადგენლობიდან, საარჩევნო ოლქისა და ამომრჩეველთა უმრავლესობის მხრიდან ამომრჩეველთა განაწესის არაეფექტურად შესრულების მოტივით.

ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე გასაკვირი არც არის, თუ რატომ ხდებოდა ხალხის დაკნინება და მათი მუშებად გადაქცევა, რადგან საბჭოურ რეჟიმს არ აწყობდა ქართველი ხალხის ჩახედულება მმართველობის საკითხებში, მათ ჰქონდათ შიში ჭკვიანი და განათლებული ადაიანების და სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ქართველი ხალხის ძარღვებში საბჭოური სისხლის გადასხმას, ჩანერგვას შიშს იმისა რომ არავინ არ წასულიყო მათი დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ.

პროტესტი და თავისუფალი სიტყვა საბჭოური კანონით ისჯებოდა. ნებით თუ უნებლიედ ქართველებისთვის **სტალინი** ქართველი ხალხის კულტად იქცა, თვითმმართველობის დამოუკიდებლობასა და უფლებებზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია. ათწლეულების მანძილზე საბჭოური მმართველობა გამორიცხავდა პოლიტიკური კლასის მენტალიტეტის დანერგვას და ეს დიდი დალი იყო ქართველი ხალხისთვის მმართველობის სისტემის სწორად დამკვიდრებისთვის.

მეოცე საუკუნის 80იანი წლების მიწურულს იყო მცდელობა გაეუმჯობესებინათ საბჭოური ორგანიზაციული სტრუქტურა .1990 წელს მიიღეს კანონი "ადგილობრივი

თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საფუძვლების შესახებ“.ეს იყო უკანასკნელი საბჭოური რეფორმა ჩვენს ქვეყანაში და ის არ ამოქმედებულა,რადგან საქართველოში ბოლო მოელო საბჭოთა რეჟიმის თარეშს.

### 2.3 ადგილობრივი ხელისუფლება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991-2000).

საბჭოთა ხელისუფლების ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ქართველ ხალხს ძალიან გაგვიჭირდა მძიმე მემკვიდრეობის შეცვლა და ქართულის ანუ საკუთარისკენ შემობრუნება.ქვეყნის საბჭოური ხელისუფლებისგან გამოსვლას თან დაერთო რიგი მენტალური და ფსიქოლოგიური პრობლემები.დამოუკიდებელ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა კონსტიტუციური მოწყობის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაადა მისი მონესრიგება კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩებოდა.დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა თავისი წოდებიდან გამომდინარემოისაზრებდა ხელისუფლების საქმიანობაში ხალხის მაქსიმალურად ჩართვას.რესპუბლიკა თავისი სახელწოდებით განისაზღვრება როგორც ქვეყანა,სადაც კანონებს ქმნის და ასრულებს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები, თუმცა რეორგანიზაცია არც ისე მარტივია იმ მძიმე მემკვიდრეობიდან გამომდინარე,რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისგან დაგვრჩა. მაგრამ ქართველ ხალხს დასაკარგი დრო არ გვქონდა,ჩასატარებელი იყო ძირეული რეფორმები და საჭირო იყო მოსახლეობისთვის ქართული მენტალიტეტის დაბრუნება.აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ყველაფერს წლები დასჭირდა.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა გულისხმობდა ხელისუფლების შტოების ხელახლა გადახედვას,წარსულიდან დატოვებულის აღმოფხვრას და ახალის მიღებას.პროცესი უკვე დაიწყო და1990 წელს არჩეული ხელისუფლება დაკანონდა არა როგორც საქართველოს სსრკ უზენაესი საბჭოს ფორმალური გამგრძელებელი არამედ 1918-1921 წლებში ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს სამართ-ალმემკვიდრე.საქართველოს მოსახლეობამ 1990 წლის 28 ოქტომბრის აჩვენებში ხმა მისცა საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ფლაგმანს,

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანებას „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო ბლოკს“,რის შედეგადაც საბჭოური რეჟიმის სამოცდაათწლიანი მმართველობის ისტორიაში,ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა.

თანდათან იწყება საბჭოური სახელწოდებების გადარქმევა ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებზე. საკანონმდებლო ორგანო მთავრობა თავის მხრივ ცდილობდა მშვიდობიანი, სამართლებრივი ფორმების გამოყენებით მოეგვარებინა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ინსპირირებული კონფლიქტები -სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხეზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

1990 წლის 22 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელით სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეინიშნება სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

ამის დამადასტურებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის დადგენილება, ოლქის ე.წ. - სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.[საქართველოს მთავრობის დადგენილება]

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა ამავე წლის 16 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ავტონომიური ოლქის საბჭოს მეთხუთმეტე სესია, რომელმაც დაადასტურა თავისი წინა გადაწყვეტილება, აირჩია ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი და მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 2 დეკემბერს.

#### საქართველოს უზენაესი საბჭო ადგენს:

❖ გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად~ გარდაქმნის შესახებ. აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის 2 დეკემბრისათვის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებსა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას.

❖ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ოსი ეროვნების მოქალაქეებს მონოდებით, გამოიჩინონ კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფრთხილე და სწორად შეათვასონ სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები.

❖ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ იგი განუხრელად იბრძვის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის. ამასთან ერთად იგი ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას, რომ კვლავაც დაიცავს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებებს საერთაშორისო საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კრემლის მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტები აგრძელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებას, რასაც მოჰყვა იძულებითი ნაბიჯი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით და მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და დადგენილება ე. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ~

(1990 წ. 11 დეკემბერი); ხოლო მოგვიანებით მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება - კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ (1990 წლის 28 დეკემბერი).

საქართველოს მთავრობა აძლევს პირობას ოსებს რომ მათ ექნებათ უფლება, რომელიც ოლქის არსებობის პერიოდშიც ჰქონდათ, ის უფლებები კიდევაც გაიზრდება, გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით... ქართველები და ოსები თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ. გარანტირებული იქნება მათი ხელშეუხებლობა, შრომითი მონაცობა და მშვიდი ცხოვრება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე...

ქალაქ ცხინვალის რეგიონში, არსებული კონფლიქტის მოგვარების მიზნით, 1991 წლის 23 მარტს, საქართველოს ტერიტორიაზე, ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. დაიგეგმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. უპირველესი და უმთავრესი მათ შორის იყო გადანაცვეტილება რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რომელიც დაიგეგმა თბილისში. გაფორმდა შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი, რომელშიც კერძოდ აღინიშნა:

1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონებში ვითარების სტაბილიზაციისათვის, ერთობლივი მოქმედების მიზნით შეთანხმების შედეგად, მხარეები მორიგდნენ:

რუსეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

რუსეთის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა



უკანონო ფორმირებების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

რუსეთის სსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის ასრ მინისტრთა საბჭომ დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა.

საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის ასრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად.

შექმნილი კომისიებისა და რაზმების ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს (დაბა ყაზბეგი, 1991 წ. 23 მარტი).

აღნიშნულ რეგიონში შექმნილ მძიმე მდგომარეობის დარეგულირებას ისახავდა მიზნად საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცემული ბრძანებულება - შიდა ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ქვეყნის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ანტიკონსტიტუციური ანტისახელმწიფოებრივი ორგანოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებები.

დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა

სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ (1991 წლის 2 დეკემბერი). აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კრემლის წაქეზებითა და ხელშეწყობით, აფხაზი სეპარატისტების მიერ ასევე ხდებოდა მდგომარეობის დაძაბვა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში - აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, ვკითხულობთ:

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებების ვადა ფაქტობრივად დამთავრდა 1990 წლის 25 თებერვალს.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არ გაუგრძელებია ვადა, არ მიუღია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი და შესაბამისად არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაუნიშნავს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს:

❖ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს არა უგვიანეს 1991 წლის 1 ოქტომბრისა;

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად გააგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა ა. წ. 15 მარტამდე.

❖ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ორგანოების ვადა განსაზღვრულია ხუთი წლით, ხოლო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ექვს წელზე მეტია მოქმედებს, ამ დადგენილების პირველი მუხლის შესრულება გამოიწვევს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას (1991 წლის 25 თებერვალი).

არსებული დაძაბული მდგომარეობის განმუხტვას ისახავდა მიზნად ბატონი ზვიად გამსახურდიას მიერ გაკეთებული - მიმართვა აფხაზი ხალხისადმი, რომელშიც ვკითხულობთ:

**„ძვირფასო თანამემამულენო!**

აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება... ჩვენ ერთ მინა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ურთიერთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით... ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გაუძელით. ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყიეს ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა და ვერც სხვებმა.

მაგრამ აი, მე- 19-20 საუკუნეში, ჩვენ დაგვიპირისპირდა იმპერიათა შორის უვერაგესი და უბოროტესი - რუსეთის იმპერია, რომელმაც არნახული უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხს... მიზნად დაისახა ჩვენი ხალხების სრული ასიმილაცია და მოსპობა. მან დაინახა, რომ ამას ვერ განახორციელებდა მხოლოდ რეპრესიებითა და გენოციდით, ამიტომ გამოიყენა ყველა იმპერიის ნაცადი ხერხი - გათიშე და იბატონე, და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთდასაპირისპირებლად...

ღღევანდელმა მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ, საუბედუროდ, მიაღწია ამას, თავისი აგენტური ქსელის მეშვეობით, რაც, მისი გეგმით, დასაწყისი უნდა გახდეს კავკასიის მოდერნიზაციისა და ლიბანიზაციისა, რათა ცენტრმა შეინარჩუნოს თავისი პოზიცია და ჰეგემონია კავკასიაში.

მოგინოდებთ: ნუ აყვებით პროვოკატორებს... ჩვენი ისტორიული მტრების აგენტებსა და პროვოკატორებს. ბოიკოტი გამოუცხადეთ 17 მარტის საბჭოთა რეფერენდუმს და მონაწილეობა მიიღეთ საქართველოს რესპუბლიკის 31 მარტის რეფერენდუმში, რომელიც დაკავშირებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. დამოუკიდებელი საქართველო თქვენ გაცილებით მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანი არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტი თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთა განმავლობაში.

**გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას!**

## გვფარავდეს ღმერთი სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა! [1991 წლის 12 მარტი]

სამწუხაროდ კრემლის მიერ წაქეზებული სეპარატისტული ძალები აფხაზეთში აგრძელებდნენ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. აი, რას წერდა ბატონი ზვიად გამსახურდია ბატონ ვლადისლავ არძინბას:

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება; ხოლო 1991 წლის 29 იანვარს საერთოდ გაუქმდა ადგილობრივი საბჭოების სისტემა. საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ვალდებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, რაც შეუწყნარებლად ჭიანურდება და მრავალი უხერხულობის მიზეზად შეიძლება იქცეს...

...თქვენ პირადად, ბატონო ვლადისლავ და მთლიანად აფხაზეთის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, სისტემატურად უგულებელყოფთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და სხვადასხვა თანამდებობის პირებს აფხაზეთში უმზადებთ ნიადაგს სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად.

თქვენი ასეთი საქციელი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რასაც საკმაოდ მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამით თქვენ საფრთხეს უქმნით მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას, აღვივებთ ეროვნულ შუღლს, ინვევთ ყოვლად გაუმართლებელ დაპირისპირებას ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, უხეშად არღვევთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას...

... ერთა შორის ჭიდილში გამარჯვებული არ არსებობს. კიდევ ერთხელ დაფიქრდით, გაითვალისწინეთ ისტორიის გაკვეთილები და, რაც მთავარია, შეუსაბამეთ თქვენი პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, რომლის იურისდიქციის ქვეშაც ბრძანდებით [1991 წლის 29 მარტი].

მიუხედავად კრემლის იმპერიული ძალების წინააღმდეგობისა, ქართული და აფხაზური მხარის ორმხრივი კონსენსუსის საფუძველზე მაინც მოხერხდა მდგომარეობის

ნორმალიზება... მიღებულ იქნა საარჩევნო კანონი, რომელიც გარკვეული ქვოტების პრინციპს ითვალისწინებდა. კერძოდ:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში იქნებოდა 65 დეპუტატი;
- მათ შორის: 28 - აფხაზი ეროვნების; 26 - ქართველი და 11 - სხვა დანარჩენი ეროვნების მქონე დეპუტატი;
- მიღწეული შეთანხმების თანახმად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა აფხაზური დეპუტაციის წარმომადგენელი;
- მისი პირველი მოადგილე - ქართული დეპუტაციის;
- მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა ქართველი, ხოლო მისი პირველი მოადგილე - აფხაზი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (გარდა საპროცედუროსი) უნდა მიღებულიყო ხმების 2/3-ით (44 ხმა), რომლის მოსაგროვებლად აუცილებელი ხდებოდა ქართული და აფხაზური მხარის დეპუტატთა ურთიერთკომპრომისი. ასე უსისხლოდ და სხვა მძაფრი დაპირისპირების გარეშე მოხერხდა აფხაზური პრობლემის მოგვარება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თითქმის ერთნაირი მოღვაწეობის მანძილზე მიმდინარეობდა კონსტიტუციაში იმ ცვლილებების შეტანა, რაც გარდამავალი პერიოდით იყო ნაკარნახევი – კონსტიტუციის 185-ი მუხლიდან მთლიანად ამოღებულ იქნა 32-ი მუხლი; საფუძვლიანად გადამუშავდა თითქმის ყველა პარაგრაფი და თავი; მთლიანად ამოღებულ იქნა მე-9 და მე-19 თავები; თავის მხრივ ჩაემატა მე-131 და 211-ე თავები (სულ 16 მუხლი).

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვება-განმტკიცების გზაზე, უმნიშვნელოვანესი გახლდათ მოსახლეობის ნების გათვალისწინება. ამიტომ, გაიშალა მზადება ქვეყანაში რეფერენდუმის მოსაწყობად.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი - საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1918 წლის 21 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. აი, რამდენიმე მშრალი ინფორმაცია:

-ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოში: 3 657 477;

- რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა: 3 302 572 (90,3 %)

- საკითხის დადებითად გადანწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა (დიახ): 266 265, რაც შეადგენს რეფერენდუმის მონაწილეთა - 98,9 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის - 89,3 %-ს;

-საკითხის უარყოფითად გადანწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა (არა): 17 400, რაც შეადგენს რეფერენდუმში მონაწილეთა - 0,53 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის - 0,48 %-ს.

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს, 12:30 სთ-ზე მიღებულ იქნა - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.

ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ გაკეთებულ მიმართვაში - მსოფლიო ხალხებისადმი ვკითხულობთ:

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და ამით გამოხატა საქართველოს მოსახლეობის ნება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს მსოფლიოს ხალხებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, მხარი დაუჭიროს თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეისათვის მებრძოლი ხალხების ნებას, არ დაუშვას მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება და ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკის ცნობას და დამკვიდრებას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში [1991 წლის 9 აპრილი]

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება -საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ (1991 წლის 9 აპრილი).“

(<http://www.nplg.gov.ge>)

1991 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. იმავე წლის 26 მაისს ჩატარდა - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნები. ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან (3 550 371) მონაწილეობა მიიღო - 2 967 744-მა, ანუ - 90,59 %-მა. ზვიად გამსახურდიამ მოაგროვა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა - 86,52 %-ი, და გახდა საერთო-სახალხო არჩევნების გზით არჩეული - საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

საქართველო, რეალური დამოუკიდებლობისაკენ სულ უფრო მტკიცედ მიაბიჯებდა. ეროვნული ხელისუფლების მიერ თანამიმდევრულად ხდებოდა, რეალურად არსებული საბჭოთა კავშირის სამართლებრივი სივრციდან გასვლისათვის, ანუ ქვეყნის ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მიღწევისათვის საჭირო იურიდიული საფუძვლის მომზადება. მოკლე დროის მანძილზე მიღებულ იქნა კანონები:

- საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ (პირველი მოსმენით) [1991 წლის 28 ივნისი];
- საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ [1991 წლის 2 აგვისტო];
- საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ [1991 წლის 9 სექტემბერი];
- საინვესტიციო საქმიანობის შესახებ [1991 წლის 10 აგვისტო];
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ [1991 წლის 10 აგვისტო];
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ [1991 წლის 10 აგვისტო], და სხვა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია მოსკოვში, 1991 წ. აგვისტოში მონყოილ ე. წ. პუტჩს, სპეციალური მიმართვით - დასავლეთ ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი, გამოეხმაურა: - საბჭოთა კავშირში შეიქმნა არასტაბილური სიტუაცია, რომლის გაკონტროლება ახლო მომავალში შეიძლება შეუძლებელი გახდეს.

მოვლენების ასეთი განვითარება ყოველთვის გარდაუვალია ტოტალიტარულ იმპერიაში, სადაც იწყება დიდი ლიბერალიზაცია. ასეთ დროს პირდაპირი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის სახელმწიფოთა პრინციპულ პოზიციას,

უკომპრომისო შეფასებას ყოველივე იმისა, რაც ხდება, აგრეთვე აქტიურ დიპლომატიურ თუ სხვაგვარ მოქმედებას. დასავლეთი არ უნდა იყოს პასიური მაყურებლის როლში. პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა ძალზედ ძნელია, ვინაიდან ჯერ-ჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს თუ, მხოლოდ გარიგება ან შოუ, რომლისაგანაც პოლიტიკური დივიდენდების მიღებას მიეღობიან ცალკეული სახელმწიფო ლიდერები.

მთავარზე უმთავრესია, დასავლეთმა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირში მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, დემოკრატიას, პლურალიზმის დამკვიდრებას. შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, რეაქციული ძალების შესაძლო გამარჯვება, საფრთხეს უქადის, უზინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში შემავალ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის და რომელთაც ჰყავთ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი. ისინი უშუალოდ სამხედრო აგრესიის წინაშე დგანან.

ამიტომ, მე მოვუწოდებ დასავლეთის მთავრობებს, უზინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე ცნონ ამ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან, რათა დაიცვან ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მონაპოვარი ამ ქვეყნებში [1991 წლის 20 აგვისტო].

პუტჩის დამთავრებისთანავე მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება - საქართველოს კომუნისტური პარტიის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: საბჭოთა კავშირის ე.წ. 19-21 აგვისტოს კომუნისტური პუტჩის დღეებში, საქართველოს კომპარტიამ მხარი დაუჭირა ე.წ. საგანგებო მდგომარეობის კომიტეტს. გარდა ამისა, მისი არსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონს - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. აქედან გამომდინარე ვადგენ:

შეჩერდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე [1991 წლის 26 აგვისტო]

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება - საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ [1991 წლის 9 სექტემბერი],



რომელსაც მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 'საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: ვინაიდან 1921 წ. თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა წითელი არმიის - შეიარაღებული აგრესიის ძალის მეოხებით, რომელიც დღემდე იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ემორჩილება მხოლოდ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღდგენს:

- 1) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად.
- 2) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან საქართველოს ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.
- 3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგან მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში (1991 წლის 15 სექტემბერი).

ზემოთ აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება:

- საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ (1991 წლის 5 სექტემბერი),
- სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს წილის შესახებ, 'საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ კანონები (1991 წლის 15 სექტემბერი) და სხვა.

ამავე დღეებში საქართველოს უზენაესი საბჭო ღებულობს დადგენილებებს

– ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ.

– ჰელსინკის: ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტთან, და ვენის: ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ (1991 წლის 15 სექტემბერი).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით იქმნება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭო (1991 წლის 21 სექტემბერი)

უდიდესი მნიშვნელობის გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება - საქართველოს რესპუბლიკაში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ, რომლის მიხედვითაც დგინდება:

1) გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და სხვა ქონება.

2) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაინციოს მოლაპარაკება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად (1991 წლის 17 ნოემბერი).

ამდაგვარივე ხასიათისა იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შემდეგი ბრძანებულებები - საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების შესახებ (1991 წლის 10 ნოემბერი), საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების,

სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზების და სხვა სამხედრო ქონების შესახებ (1991 წ. 16 ნოემბერი) და სხვა.

მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, აღადგინა – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც დადასტურებულ იქნა სათანადო აქტით, და რის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკა გახდა სუვერენული სახელმწიფო - 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

საქართველოს რესპუბლიკა, თნახმად:

- \_ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი განმსაზღვრელი დოკუმენტებისა;
- \_ ჰელსინკის, ჰსრიზის, კოპენჰაგენის თათბირების დასკვნითი აქტებისა;
- \_ ჰააგისა და უენევის კანონმდებლობებისა.

გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რადგან საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ დაიქვემდებარა მთელი ქვეყნის მუნიციპალური და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის შეიარაღებული ძალები, რითაც დაანესა კონტროლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აიღო სრული პასუხისმგებლობა სახელმწიფო მართვაზე.

მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკა – 1991 წლის 9 აპრილიდან გახდა სრულუფლებიანი სუვერენული სახელმწიფო, რომელმაც იმთავითვე აღიარა საერთაშორისო სამართლის პრიმატი და დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას.

1991 წლის 29 იანვარს მიიღეს კანონი „ადგილობრივი მმართველის შესახებ გარდამავალ პერიოდში“, რომელმაც პოსტსაბჭოთა საქართველოში საფუძველი დაუდო ადგილობრივი მმართველის და თვითმმართველობის ფიბრიდული სისტემის ამოქმედებას. აქედან მოყოლებული ადგილობრივი მმართველობის ქართული მოდელი შერეული სისტემის იმ თავისებურებებზეა აგებული, როცა თვითმმართველობაზე მართვის პრიმატია გამოკვეთილი. მოგვიანებით გადავდივართ მმართველის ორდონიანი სისტემიდან ერთდონიანზე. (მელქაძე, 2016: გვ:66)

1992-1995 წლებში საქართველოს პარლამენტში მუდმივად მსჯელობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებზე, თუმცა სხვა რიგი პრობლემების გამო კონსტრუქციული გადაწყვეტისთვის ხელისუფლებამ ვერ მოიყვანა.

1992 წელს პარლამენტმა მიიღო მცირე კონსტიტუცია „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ რომელიც არ ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეგლამენტაციას ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ, 1993 წლიდან იწყება საქართველოს ტერიტორიების რეგიონებად დაყოფა „რეგიონალიზაცია“ რის შედეგადაც საჭირო გახდა რეგიონებისთვის მეთაურების დანიშვნა. ხელისუფლებამ თითოეულ რეგიონში თავისი რწმუნებული დანიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის რეგლამენტაცია 1995 წლის კონსტიტუციითაც არ მომხდარა, ე.წ. „თვითშემოქმედება“ სახელმწიფო მეთაურის მიერ ხორციელდებოდა. 1994-96 წლებში შემოღებული იქნა რაიონების 9 დიდი გაერთიანება - მხარე. მხარე არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულს. სამხარეო დაყოფა დაახლოებით ემთხვევა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებს. მხარეებში სიტუაციას აკონტროლებდნენ პრეზიდენტის რწმუნებულები, რომელთა საქმიანობის წესი კანონმდებლობით არ იყო დარეგულირებული. ვანო ხუხუნიაშვილის ხელმძღვანელობით პარლამენტში შექმნილმა ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მოამზადა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, რომელიც 1997 წლის 16 ოქტომბერს მიიღო პარლამენტმა. ამ კანონის საფუძველზე 1998 წელს ჩატარებული არჩევნებით, შეიქმნა ორდონიანი სისტემა: ძირითადად, საბჭოთა კავშირის დროინდელი ადგილობრივი საბჭოების საზღვრების მქონე 1004 თვითმმართველობა სოფლებში, თემებში, დაბებსა და ქალაქებში, რომლებსაც რაიონულ დონეზე აერთიანებდა პროპორციული სისტემით არჩეული საკრებულო. რეალურად, ცენტრიდან დანიშნული გუბერნატორისა და გამგებლების მეშვეობით შენარჩუნდა სახელისუფლებო ვერტიკალი. 1998 წელს მიღებული კანონით „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა დედაქალაქის თვითმმართველობის განსხვავებული მოდელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზა გამყარდა 2005 წელს მიღებული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანიზების გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან შემორჩენილ მოდელში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2006 წლამდე არ განხორციელებულა.

2006 წლის 9 იანვარს ძალაში შევიდა ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლის საფუძველზე იმავე წელს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან საერთოდ გაუქმდა ქვედა (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) დონე და ერთადერთ (როგორც თვითმმართველ, ისე ტერიტორიულ) ერთეულად ყოფილი რაიონების ფარგლებში ფორმირებული მუნიციპალიტეტი გამოცხადდა. ამ ცვლილების მიზნად სახელდებოდა არსებული მცირე თვითმმართველი ერთეულების არაეფექტურობა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობებს არასოდეს არ ჰქონიათ გადაცემული საკმარისი ფინანსური რესურსები. რეფორმის შედეგად თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საშუალო ოდენობა 4.354- დან 66.235-მდე გაიზარდა (შედარებისათვის: ევროპის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, ასევე რიგი განვითარებული ქვეყნის - აშშ, იაპონია და სხვ. მუნიციპალიტეტებში საშუალოდ 7-დან 18 ათასამდე მცხოვრებია). 2006 წლის რეფორმის შემდეგ დეკლარირებული მიზნის - თვითმმართველობის გამსხვილების პარალელურად, ფინანსური მდგრადობისა და საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ზრდის ნაცვლად, თვითმმართველობები მთლიანად იქცნენ ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობებად, მთავრობაზე ადმინისტრაციულად, პოლიტიკურად და ფინანსურად დამოკიდებულ ორგანოებად. მოსახლეობისაგან ხელისუფლების ორგანოების დაშორების ნეგატიური შედეგების დაძლევის მიზნით ახალი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებულ ყოფილ თემებში (ტერიტორიულ ორგანოებში) შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის რწმუნებულების ინსტიტუტი. თუმცა მალევე აშკარა გახდა, რომ ეს სტრუქტურა ვერ ამართლებდა დეკლარირებულ მიზნებს - იგი ანგარიშვალდებული იყო მუნიციპალიტეტის გამგებლის, და არა მოსახლეობის წინაშე და არ გააჩნდა რეალური ბერკეტები (ფინანსები და ადამიანური რესურსები) ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად. რწმუნებულები, ფაქტიურად, თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მისახლეობისათვის მიწოდებისა და არჩევნებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ პარტიული აქტივის მობილიზების ფუნქციას ასრულებდნენ.

### თავი III. უახლოესი დროის ადგილობრივი თვითმმართველობა

3.1 ადგილობრივი თვითმმართველობა საპრეზიდენტო რესპუბლიკური წყობის დროს 1995 წლიდან საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკად გამოცხადდა, სახელწოდებიდან გამომდინარე, ჩანს რომ სახელმწიფოს მეთაურს ხელისუფალს წარმოადგენს პრეზიდენტი. (პრეზიდენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს“ მას ვინც წინ ზის“)

მმართველობის ეს მოდელი პირველად 1787 წლის კონსტიტუციის საფუძველზე დაფუძნდა ამერიკაში, რომელიც გავრცელებულია ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში ხელისუფლება იყოფა 3 დამოუკიდებელ სახელისუფლო შტოდ:

- აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც წარმოადგენს პრეზიდენტი;
- საკანონმდებლო ხელისუფლება რომელიც ეკუთვნის პარლამენტს;
- სასამართლო ხელისუფლება, რომელიც დანარჩენი ორისგან დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს;

ხელისუფლების მეოთხე ორგანოს არაოფიციალურად წარმოადგენს მასმედია, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკავშირის სისტემა შემდეგნაირია:

პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, ხოლო პარლამენტს არ აქვს უფლება მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს და გადააყენოს მთელი წარმომადგენლობა. იმპიჩმენტის წესით პარლამენტს უფლება აქვს პრეზიდენტი ვადამდე გადააყენოს თანამდებობიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი სამართალს არღვევს, თუმცა აღსანიშნავია რომ იმპიჩმენტის წესი ძალზე რთული პროცესია და ის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიმდინარეობს, პრეზიდენტი მონაწილეობს კანონის მიღების პროცესში და ის ხშირად წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტში, პრეზიდენტს უფლება აქვს ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო პარლამენტს შეუძლია დაძლიოს ეს ვეტო ხმათა უმრავლესობით.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მოქმედებს მთავრობის ფორმირების არასაპარლამენტო წესი, მთავრობას ერთპიროვნულად ნიშნავს პრეზიდენტი, მაგრამ ზოგ ქვეყანაში პრეზიდენტის მიერ დანიშნულ მთავრობას ამტკიცებს პარლამენტი. ასეთ რესპუბლიკაში მთავრობა მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე ანგარიშვალდებული, მთავრობა როგორც უმლლესი აღმასრულებელი ორგანო არ არსებობს და არ შეუძლია სამართლებრივი აქტები მიიღოს რეალურად ის წარმოადგენს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს, თუმცა არსებობს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაც რომელიც მთავრობას ხელმძღვანელობს და მისი როლი უმნიშვნელოა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს, პარლამენტს უფლება აქვს სხდომაზე დაიბარონ მინისტრები მოთხოვონ მათ ახსნა-განმარტებები და ჩაიბარონ მათი ანგარიში. [წყარო: დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი, მამუკა აბულაძე, ოთარ კანდელაკი. ადგილობრივი თვითმმართველობა]

1997 წლის 16 ოქტომბერს მიიღეს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომელმაც ქვეყანაში ადგილობრივი მართვის ორგანიზაციის სიტემა განსაზღვრა, დამკვიდრდა ადგილობრივი მმართველის ორდონიანი სისტემა, რომლის ქვედა დონეზე ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო ზედა დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობის შერეული მოდელი. მმართველობის მსგავსი სიტემა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში იყო აპრობირებული, რომელიც გაზიარებული იქნა ჩვენი სახელმწიფოს მიერ. ადგილობრივი მმართველობის სისტემის სამართლებრივი ორგანიზაციული რეფორმის ახალი ეტაპი საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანებას და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მიერთებას უკავშირდება.

1985 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ხოლო ხელმოსაწერად დოკუმენტი 1985 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა. საქართველომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2002 წლის 29 მაისს. 2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება და 2005 წლის 1 აპრილიდან ის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა. 7 ქარტიის დებულებები განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად პრინციპებს, როგორცაა: თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნის აუცილებლობა; ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების სფერო და მათი რეალიზაციის პირობები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპის დაცვა; ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი ადმინისტრაციული ორგანოების ავტონომიურობის უზრუნველყოფა; თვითმმართველობებში კომპეტენტური პერსონალის დასაქმება და არჩევით თანამდებობათა დაკავების პირობები; თვითმმართველობების საქმიანობის ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება; ადგილობრივი ხელისუფლების საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა; თვითმმართველობების თანამშრომლობა და გაერთიანების უფლება; ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივი დაცვა. ქარტიის სავალდებულო ბირთვის 14 დებულებიდან 2004 წელს საქართველო



შეუერთდა 13 დებულებას, ხოლო დამატებითი პუნქტებიდან - 10 დებულებას. ფაქტობრივად, საქართველომ ივალდებულა ქარტიის დებულებათა უდიდესი ნაწილის შესრულება. (დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი, მამუკა აბულაძე, ოთარ კანდელაკი. ადგილობრივი თვითმმართველობა)

ქარტიასთან შეერთებისას მთავრობამ გააკეთა დათქმა, რომ საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იხსნის პასუხისმგებლობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მე-2 მუხლი „ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძველი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარონ ეროვნულ კანონმდებლობაში, უმჯობესია, ყველაზე ძნელად შესაცვლელ და უზენაეს ნორმატიულ აქტში – კონსტიტუციაში. ეს თვითმმართველობის სტაბილურობისთვისაა აუცილებელი. 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ერთი ჩანაწერი, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი იყო: „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები განისაზღვრა ახალი, VIII თავით „ადგილობრივი თვითმმართველობა. თვითმმართველობის კონსტიტუციურ გარანტიებთან დაკავშირებული მუხლები ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

2010 წელს ქვეყნის ძირითად კანონში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა კონსტიტუციურად გაამყარა თვითმმართველობის საქმიანობის გარანტიები თუმცა, ამ დროს არ იქნა გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები კომპეტენციების მკაფიოდ გამიჯვნის, სუბსიდიარობისა და ფისკალური

დეცენტრალიზაციის ძირეული პრინციპების კონსტიტუციაში ასახვის შესახებ.[წყარო: დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი,მამუკა აბულაძე,ოთარ კანდელაკი.ადგილობრივი თვითმმართველობა|საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ორგანული კანონი.ი (მუხლი 1011 ), რომლის მისაღებად და შესაცვლელად პარლამენტს, კანონთან შედარებით, უფრო მაღალი კვორუმი (სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი) სჭირდება. საქართველო ასევე არ არის შეერთებული ქარტიის დამატებით ოქმს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებების შესახებ, რომელიც მიღებულია ე.უტრეხტში 2009 წლის 16 ნოემბერს.(დავით ლოსაბერიძე,კონსტანტინე კანდელაკი,მამუკა აბულაძე,ოთარ კანდელაკი.ადგილობრივი თვითმმართველობა).

### 3.2 ადგილობრივი ხელისუფლება ნახევრადსაპრეზიდენტო წყობის დროს

2004 როცა კონსტიტუციური ცვლილებებით შემოიღეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და კონსტიტუციაში ცალკე, თავად ჩამოყალიბდა მთავრობის სტრუქტურა ასევე უფლებამოსილების განმსაზღვრელი მუხლები, არის შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა და პირიქითაც, როცა ის შეზღუდულია აღნიშნული ნიშნების გამო საქართველო ფორმალურად ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა.

რესპუბლიკური მმართველობის ნახევარსაპრეზიდენტო ფორმას, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- პრეზიდენტი ირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით და იღებს ისეთივე ლეგიტიმაციას, როგორსაც პარლამენტი.
- პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით სახელმწიფო მმართველობის სფეროში.
- პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას, ხელმძღვანელობს მის მუშაობას და აქვს უფლებაც მიიღოს გადაწყვეტილებები.

აღნიშნული ნიშნებით სახელმწიფო მონაცობა საპრეზიდენტო რესპუბლიკას ჰგავს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, მთავრობა პასუხისმგებელია არა მარტო პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშეც (2004 წ. - მუხლი 78.1) და პარლამენტსაც, უნდობლობის გამოცხადების გზით, შეუძლია მთავრობის გადაყენება. ამის საპირისპიროდ, პრეზიდენტს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი. (2004 წ. - 73.1.3; ამჟამად - მუხლი 73.1.ე). ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა პირველად დაფუძნდა საფრანგეთში 1958 წლის კონსტიტუციით. მმართველობის ეს ფორმაა ფინეთსა და პორტუგალიაში. მიჩნეულია, დსთ-ის ყველა ქვეყანა შერეული რესპუბლიკებია. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის კიდევ ერთი ინდივიდუალური ნიშანია ის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება დუალისტური - ორსახოვანია, რადგან რეალური მმართველობითი ფუნქციებით ორი თანამდებობის პირია აღჭურვილი: პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, რომელთაგანაც უპირატესობა ენიჭება პრეზიდენტს.

### **3.3 ადგილობრივი თვითმმართველობა საპარლამენტო რესპუბლიკის დროს**

საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფო მონაცობის ძირითად მექანიზმსწარმოადგენს საქართველოს პარლამენტი, რომელიც ადგენს მთავრობას იმ პარტიისგან, რომელმაც არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა. მთავრობის მეთაური ახლა უკვე პრემიერ-მინისტრია.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლების მუშაობა ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. საპარლამენტო რესპუბლიკაში საპრეზიდენტოსგან განსხვავებით ხელისუფლების დანაწილება ნაკლები სიმკაცრით არის დანაწილებული.

ფორმირების ამ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული მონაცობის შესახებ კანონში 30-იანი წლებიდან შემორჩენილ მოდელში მნიშვნელოვანი სიახლე არ შესულა. 2006 წლის 9 იანვარს ძალაში შევიდა ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. იმავე წელს საქართველოში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და შედეგების გამოცხადების დღიდან გაუქმდა ქვედა დონეები (როგორებიცაა: სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) და ერთადერთ ერთეულად გამოცხადდა მუნიციპალიტეტი. რეფორმის შედეგად

ბუნებრივია გაიზარდა თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა 4354-დან 66235მდე.ვერ ვიტყვიტ რომ რეფორმამ დადებითი შედეგი მოიტანა,რადგან 2006წლის შემდეგ თვითმმართველობის ერთეულები მთლიანად იქცნენ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებულ ორგანოდ როგრც პოლიტიკურად ისე ფინანსურად.ტერიტორიული სიშორიდან გამომდინარე მოსახლეობას ხმა აღარ მიუწვდებოდა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ამიტომ,ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად სოფლებში შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის რწმუნებულის ინსტიტუტი,რომელიც სამწუხაროდ ანგარიშვალდებულ ერთეულად იქცა არა მოსახლეობის,არამედ მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ.თანდათან ცხადი ხდებოდა რომ მათ არ ჰქონდათ რეალური ბერკეტი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად

საპრეზიდენტო წყობის რესპუბლიკაში საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავდა,თვითმმართველი ერთეულის სტატუსს.თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი,რომელსაც აქვს კანონით დადგენილი უფლებამოსილებები,საკუთარი ქონება და ბიუჯეტი.ასევე ყავს წარმომადგენელი აღმასრულებელ ორგანოში.

ტერიტორიული დაყოფის მიხედვით თვითმმართველ ერთეულს შიძლება წარმოადგენდეს:

- ქალაქი
- ქალაქის ტიპის დასახლება
- მუნიციპალიტეტი

თვითმმართველი ერთეულის სტატუსს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. კანონი ადგენს რომ თვითმმართველ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ატრიბუტები: გერბი,დროშა და სხვა,რომელსაც ადგენს თვითმმართველი ერთეულის საკრებულო პარლამენტის თანხმობით.

2010 წელს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს

მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. ამ ცვლილებით დაკონკრეტდა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის უფლება, რომელიც ზოგადი განსაზღვრების - მოქალაქეების ნაცვლად, მიესაბამება მხოლოდ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსიც (მუხლი 2. 3.1) ადგილობრივ თვითმმართველობას განმარტავს, როგორც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა „უფლებას და შესაძლებლობას, მათ მიერარჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხები განისაზღვრება შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ. ამდენად, თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, რომელშიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა. ქართის მე-3 მუხლის მეორე პუნქტით, ადგილებზე თვითმმართველობას უნდა ახორციელებდნენ პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები. ჩვენს ქვეყანაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო არის საკრებულო, რომელსაც ირჩევენ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით კონსტიტუციაში არ დაფიქსირებულა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეულ 32 ორგანოთა უფლებამოსილების ვადა, რომელიც დადგინდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და 4 წელს შეადგენს

(2014 წელს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ეს ვადა 3 წლით განისაზღვრა); არჩევნების წესი რეგულირდება ორგანული კანონით —საქართველოს საარჩევნო კოდექსი და მისი XV თავით - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები. ქარტიის მიხედვით, წარმომადგენლობით ორგანოებთან შეიძლება არსებობდეს მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები. საქართველოს კონსტიტუცია ხაზს უსვამს აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულებას წარმომადგენლობით ორგანოებთან: - ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე (მუხლი 1011 , პ.1).

2014 წლიდან საქართველოში თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო არის პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირი: გამგებელი (თვითმმართველ თემში) და მერი (თვითმმართველ ქალაქში), რომელიც მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირია და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლები 48 და 49). ქარტიის მე-3 მუხლში ხაზგასმულია, რომ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შესახებ დებულება არ გამორიცხავს ადგილობრივ დონეზე უშუალო დემოკრატიული მმართველობის ფორმების – მოქალაქეთა კრებების, რეფერენდუმების და სხვათა გამოყენების შესაძლებლობას, თუ ეს ეროვნული კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნების განსაზღვრისათვის ასევე საყურადღებოა 2010 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შესული კიდევ ერთი დებულება, რომელიც თვითმმართველობას აძლევს მის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ნორმატიული ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების უფლებას: თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე (მუხლი 1013, პ.2) 2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების

სტრატეგიით - მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და მოდერნიზაცია რეფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქნა გამოცხადებული. 2013 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების დასაწყისი ასე მოიაზრებოდა: თვითმმართველ ქალაქებად უნდა გამოყოფილიყო 15.000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქები, ხოლო ყოფილი მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო რამდენიმე თვითკმარი სათემო მუნიციპალიტეტი. კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ასე იყო ჩამოყალიბებული: „თვითმმართველი ქალაქი არის დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია არანაკლებ 15.000 მოსახლე, გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი და მინიჭებული აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, მაგრამ პარლამენტში პირველი მოსმენის შემდეგ<sup>12</sup>, რომელსაც წინ უძღოდა პოლიტიკური დებატები, ეს კრიტერიუმი ამოიღეს და ახლა არის ასეთი ჩანაწერი: 2013 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიით მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და მოდერნიზაცია რეფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქნა გამოცხადებული.

### 3.4 თვითმმართველი ქალაქები

2013 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების დასაწყისი ასე მოიაზრებოდა: თვითმმართველ ქალაქებად უნდა გამოყოფილიყო 15.000-ზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქები, ხოლო ყოფილი მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო რამდენიმე თვითკმარი სათემო მუნიციპალიტეტი. კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ასე იყო ჩამოყალიბებული: „თვითმმართველი ქალაქი არის დასახლება, რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია არანაკლებ 15.000 მოსახლე, გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი და მინიჭებული აქვს თვითმმართველი

ქალაქის სტატუსი, მაგრამ პარლამენტში პირველი მოსმენის შემდეგ<sup>12</sup>, რომელსაც წინ უძღოდა პოლიტიკური დებატები, ეს კრიტერიუმი

ამოიღეს და ახლა არის ასეთი ჩანაწერი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. მუხლი 3. მუნიციპალიტეტები – თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში.

2. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

3. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

საქართველოში 12 თვითმმართველი ქალაქია:

თბილისი, ქუთაისი, თოთი, ბათუმი, რუსთავი, თელავი, მცხეთა, გორი, ახალციხე, ზუგდიდი, ოზურგეთი და ამბროლაური. საქართველოში 54 ქალაქი და 42 დაბაა. ქალაქებს შორის ყველაზე მცირეს (წალკა, ცაგერი) მოსახლეობა 2000-ს არ აღემატება, ყველაზე დიდების (თბილისის შემდეგ) მოსახლეობა კი 100 000-ზე

მეტია (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი). 10 ქალაქს, რომელსაც თვითმმართველობა არ გააჩნია, 15 000-ზე მეტი მაცხოვრებელი ჰყავს. ამ ქალაქებს სხვა დასახლებებისგან, დაბებისა და სოფლებისგან გამოარჩევს საქალაქო მეურნეობის (კანალიზაცია, გარე განათება) არსებობა, ურბანული გარემო (ქუჩები, ტროტუარები, სკვერები, პარკები) კულტურული დაწესებულებების (თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა), მომსახურების და ვაჭრობის ობიექტების (ბანკები, საღაზღვევო, ჯანდაცვის, იურიდიული კომპანიები და სხვ.) კონცენტრაცია. ბევრ მათგანს ქალაქური ცხოვრების საკუთარი ისტორია და ტრადიცია აქვს. მაგ., ოზურგეთი, ზუგდიდი, დუშეთი, სიღნაღი, თელავი, ახალციხე და სხვა ქალაქებში უკვე XIX საუკუნეში იყვნენ ურბანული ტიპის დასახლებები, ჰქონდათ ქალაქური ტიპის ცხოვრება. ეს ურბანული დასახლებები იყო ვაჭრობის და ხელოსნობის, ირგვლივ მდებარე რეგიონებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებისა და მათი წვრილი მანუფაქტურული ნაწარმით მომარგების, განათლებისა და კულტურის ცენტრები, მათში არსებობდა სამოქალაქო



საზოგადოებისა ჩანასახები და 11 ქალაქს ჰქონდა საკუთარი თვითმმართველობა. საქართველოში 54 ქალაქი და 42 დაბაა. ქალაქებს შორის ყველაზე მცირეს (წალკა, ცაგერი) მოსახლეობა 2000-ს არ აღემატება, ყველაზე დიდების (თბილისის შემდეგ) მოსახლეობა კი 100 000-ზე

მეტია (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი). 10 ქალაქს, რომელსაც თვითმმართველობა არ გააჩნია, 15 000-ზე მეტი მაცხოვრებელი ჰყავს. ამ ქალაქებს სხვა დასახლებებისგან, დაბებისა და სოფლებისგან გამოარჩევს საქალაქო მეურნეობის (კანალიზაცია, გარე განათება) არსებობა, ურბანული გარემო (ქუჩები, ტროტუარები, სკვერები, პარკები) კულტურული დაწესებულებების (თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა), მომსახურების და ვაჭრობის ობიექტების (ბანკები, სადაზღვევო, ჯანდაცვის, იურიდიული კომპანიები და სხვ.) კონცენტრაცია. ბევრ მათგანს ქალაქური ცხოვრების საკუთარი ისტორია და ტრადიცია აქვს. მაგ., ოზურგეთი, ზუგდიდი, დუშეთი, სიღნაღი, თელავი, ახალციხე და სხვა ქალაქებში უკვე XIX საუკუნეში იყვნენ ურბანული ტიპის დასახლებები, ჰქონდათ ქალაქური ტიპის ცხოვრება. ეს ურბანული დასახლებები იყო ვაჭრობის და ხელოსნობის, ირგვლივ მდებარე რეგიონებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებისა და მათი წვრილი მანუფაქტურული ნაწარმით მომარგების, განათლებისა და კულტურის ცენტრები, მათში არსებობდა სამოქალაქო საზოგადოებისა ჩანასახები და 11 ქალაქს ჰქონდა საკუთარი თვითმმართველობა.

თვითმმართველობა ნიშნავს საზოგადოებრივი საქმეების მონესრიგებას თვით ამ საზოგადოების წევრების მიერ, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ამდენად, თვითმმართველობა, უპირველესად არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, ერთობლივად გადაწყვიტონ საერთო ინტერესების მქონე საკითხები. ადგილობრივი საზოგადოება არის თვითმმართველობის უმთავრესი სუბიექტი, რომლის უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობაც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მონესრიგებაა. მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების გამოყენება იწყება (მაგრამ არ მთავრდება) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობით და გრძელდება მათი ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ჩართულობით. სწორედ მოქალაქეთა მონაწილეობა

თვითმმართველობის განხორციელებაში არის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უმთავრესი გარანტი და თვითმმართველობის განხორციელების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმიც - რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში, მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი.

თვითმმართველობა ნიშნავს საზოგადოებრივი საქმეების მონესრიგებას თვით ამ საზოგადოების წევრების მიერ, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ამდენად, თვითმმართველობა, უპირველესად არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, ერთობლივად გადანწყვიტონ საერთო ინტერესების მქონე საკითხები. ადგილობრივი საზოგადოება არის თვითმმართველობის უმთავრესი სუბიექტი, რომლის უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობაც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მონესრიგებაა. მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების გამოყენება იწყება (მაგრამ არ მთავრდება) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობით და გრძელდება მათი ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადანწყვეტაში ჩართულობით. სწორედ მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში არის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უმთავრესი გარანტი და თვითმმართველობის განხორციელების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმიც - რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში, მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, ადგილობრივ თვითმმართველობა განიმარტება როგორც „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადანწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“ კოდექსი, ერთი მხრივ, აღიარებს რა თვითმმართველობას, როგორც მოქალაქეთა უფლებასა და შესაძლებლობას, მეორე მხრივ მიუთითებს ამ უფლების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტზე - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოები თვითმმართველობის განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენენ და არა თავად თვითმმართველობას. ამიტომაც ამ ორგანოთა ინსტიტუციური მონაცობა - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების წესი დაკავშირებულია მოქალაქის მიერ 3 თვითმმართველობის უფლების განხორციელების ოპტიმალურ მოდელის შექმნასთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად და ადგილობრივი საზოგადოების სახელით ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა. ამიტომაც, თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური მონაცობა ეფუძნება რეპრეზენტატიულობასა და კომპეტენტურობის სწორი ბალანსის შექმნას. ინსტიტუციური აგებისას ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს თვითმმართველობის ორგანოები, არის მიღებული გადაწყვეტილებების პოპულარობა, ე.ი. მიღებული გადაწყვეტილება მაქსიმალურად უნდა ასახავდეს არაერთგვაროვანი, განსხვავებული ინტერესების მქონე საზოგადოების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ღირებულ მისწრაფებებსა და მოთხოვნებებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთი რეპრეზენტატიული ორგანოს არსებობით, როგორცაა საკრებულო იყრიან მოსახლეობის მიერ არჩეული პირები, რომელთაგან თითოეული მათგანი მოსახლეობის ამა თუ იმ სოციალური ფენისა თუ ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს, რის შედეგადაც მთლიანად საკრებულო მთელი ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელია. მისი გადაწყვეტილებები ყველაზე მნიშვნელოვან და ღირებულ ინტერესებს ასახავს, რითაც უზრუნველყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა პოპულარობა. მაგრამ, მხოლოდ რეპრეზენტატიულობის პრინციპზე მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება ყოველთვის არ იყოს რაციონალური და კომპეტენტური. ასეთმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ერთჯერადად შეიძლება ყველაზე უფრო მისაღებია მოსახლეობისთვის, საბოლოო ჯამში შეიძლება დააზარალოს ამავე მოსახლეობის ინტერესები. ამიტომ, საჭიროა გადაწყვეტილებების პოპულარობა დაბალანსებული იქნეს გადაწყვეტილების რაციონალურობით. წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ, ორიენტირებულია მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა პოპულარობაზე. რაც შეეხება აღმასრულებელ

ორგანოს, რომელიც ძირითადად შედგება დაქირავებული, პროფესიული ნიშნით და კომპეტენტურობის საფუძველზე შერჩეული მოხელეებისაგან, უპირატესად ორიენტირებულია გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალურობაზე და ნაკლებად ამ გადაწყვეტილების პოპულარობაზე. თვითმმართველობის ორგანოთა შორის ფუნქციითა ამგვარი გადანაწილება შესაძლებლობას იძლევა გამოინახოს სწორი ბალანსი პოპულარობასა და კომპეტენტურობას, დემოკრატიულობასა და ეფექტურობას შორის. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ საკრებულოში არ შეიძლება იყვნენ კომპეტენტური პირები, ხოლო მოხელეებისათვის სრულიად უცხო იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მაგრამ, სწორი ბალანსის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თითოეული რგოლი ზუსტად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას და აიღებს შესაბამის პასუხისმგებლობას. საკრებულო ეს არის პოლიტიკური ორგანო, რომელმაც უნდა შეაფასოს და გააკეთოს სწორი პოლიტიკური არჩევანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. საკრებულოს და საკრებულოს თითოეულ წევრს სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტაზე მოეთხოვება პასუხი. რაც შეეხება აღმასრულებელი ორგანოს მოხელეებს, მათი პასუხისმგებლობაა გადაწყვეტილების კანონიერების, ეფექტურობის, ეკონომიურობისა და რაციონალობის უზრუნველყოფა. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ამგვარი გადანაწილება განაპირობებს ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა მუშაობის სპეციფიკას. საკრებულო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ, განიხილავს და აფასებს საკრებულოში შემოტანილ უკვე მომზადებულ საკითხს, საკითხის მოსახლეობის ინტერესებთან შესაბამისობის კუთხით. იგი ერთგვარად წააგავს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, რომელიც ღებულობს ან არ ღებულობს შემოთავაზებულ პროექტს. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. საკრებულოს წევრი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელიც არჩევნებში კენჭისყრით გამოხატავს თავის მზაობას დაიცვას შესაბამისი საზოგადოებრივი ფენის ინტერესები. ეს არის მისი საზოგადოებრივი საქმიანობის სფერო და არა შემოსავლის წყარო. განსხვავებით თვითმმართველობის მოხელისგან, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე განუსაზღვრელი ვადით. მოხელისთვის ეს თანამდებობა არის მუდმივი საქმიანობის სფერო და შემოსავლის ერთადერთი წყარო (მოხელეს ეკრძალება ეკავს

სხვა თანამდებობა საჯარო სამსახურში და ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, განსხვავებით საკრებულოს წევრისაგან, რომელზეც ასეთი სახის შეზღუდვები არ ვრცელდება).

გთავაზობთ მუხლებს ორგანული კანონიდან:

### **ადგილობრივი თვითმმართველობა**

საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული და კანონმდებლობით გარანტირებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, თვითმმართველობის ერთეულებში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონმდებლობის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

### **ადგილობრივი თვითმმართველობა როგორც კანონი**

1. ესაა კონსტიტუციური წყობის ერთ-ერთი საფუძველი, ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპი, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან ერთად განსაზღვრავს ქვეყნის მმართველობის სისტემას.
2. ესაა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება და შესაძლებლობა რეგლამენტაცია გაუკეთოს სახელმწიფო საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილს და მართოს იგი კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად (მუხლი 3. 3.1).
3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კანონით დადგენილ ფარგლებში, ფლობენ მოქმედების სრულ თავისუფლებას (მუხლი 4. 3.2)

ადგილობრივი მმართველობა სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ელემენტია. ადგილობრივი ანუ, როგორც მას ხშირად დასავლეთის ქვეყნებში უწოდებენ, მუნიციპალური თვითმმართველობა მოიცავს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მართვას, რომელიც არჩეული ორგანოების და მათი ადმინისტრაციული აპარატის მეშვეობით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის მიერ ხორციელდება. ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფო მმართველობის ერთგვარად დეცენტრალიზირებული ფორმაა, რომლის

ძირითად ნიშნებს არჩევითობა და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მართვა-გამგებლობაში გარკვეული დამოუკიდებლობა წარმოადგენს. იქმნება შესაბამისი ორგანოების სისტემა, რომელთაც საკუთარი აღმასრულებელი აპარატი, შესაბამისი უფლებამოსილებანი და მუნიციპალური საკუთრების სახით მატერიალური ბაზა გააჩნიათ.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სოფელში, თემში, დაბაში, ქალაქში, აგრეთვე იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში. ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დებულების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა და კონტროლი მის შესრულებაზე; დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა; ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, შესრულება და კონტროლი; ადგილობრივი სამსახურებისა და შესაბამისი საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია; კომუნალური მეურნეობა და ა.შ.

## **საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

**მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხ-

ადებისდღიდან)

1. ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.
2. თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. (22.07.2015. N4087)

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტები** – თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში.
2. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.
3. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

**მუხლი 4. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული**

1. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია:

(ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

ა) სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;

გ) ქალაქი – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ანდა ის ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

2. დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების



შეცვლის წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

3. მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. თვითმმართველ თემში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე დასახლების ტერიტორიას ემთხვევა. თვითმმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული დასახლების ნაწილია. (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

4. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, დადგენილებით იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

**მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და დათქმები** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმების გათვალისწინებით.

3. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის

განხორციელების საკითხები განისაზღვრება შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება არ ვრცელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე.

**მუხლი 6. საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების უფლება (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)**

1. საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიები (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)**

1. სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს.

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, იმ საკითხებზე

გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც შეეხება ამ კანონით დადგენილ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, წინასწარი კონსულტაციები გამართონ იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომლებიც ქვეყნის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტს აერთიანებენ.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების გასასაჩივრებლად, რომლებიც ზღუდავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებას.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე<sup>1</sup> თავთან მიმართებით ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განსახილველად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

6. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა. მას შეიძლება ჰქონდეს სხვა სიმბოლოებიც.
2. მუნიციპალიტეტის გერბს, დროშას და სხვა სიმბოლოებს, მათი გამოსახვის ფორმებსა და აღწერილობებს საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. სავალდებულოა მუნიციპალიტეტის სიმბოლოების სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მუნიციპალიტეტის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენა** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან) მუნიციპალიტეტის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა.

**ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზება**

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის შექმნა და გაუქმება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დადგენა და შეცვლა**

1. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების საფუძველია: ა) მუნიციპალიტეტის გაყოფა ორ ან მეტ მუნიციპალიტეტად; ბ) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტის გაერთიანება ერთ მუნიციპალიტეტად.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით, საკუთარი ინიციატივით, მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგინებით.

3. მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით ახალი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) შექმნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს: ა) მუნიციპალიტეტის გაყოფის/მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების

დასაბუთება; ბ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში) შემავალი დასახლებების ჩამონათვალი და მოსახლეობის რაოდენობა; გ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ადმინისტრაციული საზღვრები და სექმატური რუკა; დ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) სახელწოდება (სახელწოდებები); ე) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის (თვითმმართველი თემების) ადმინისტრაციული ცენტრი (ცენტრები);

ვ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

8) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

4. მუნიციპალიტეტების საკრებულოები უფლებამოსილი არიან, შესაბამის სამთავრობო კომისიას მიმართონ ერთობლივი შუამდგომლობით. ერთობლივ შუამდგომლობას უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ერთობლივი შუამდგომლობის ტექსტს და თანდართულ დოკუმენტაციას იწონებენ აღნიშნული მუნიციპალიტეტების საკრებულოები. ერთობლივ შუამდგომლობას ხელს აწერენ ამ მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები.

5. თუ მუნიციპალიტეტების გაერთიანების შესახებ შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარადგინა, შესაბამისი სამთავრობო კომისია ვალდებულია კონსულტაცია გამართოს იმ მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან და მოსახლეობასთან, რომლებიც შეიძლება გაერთიანდნენ.

6. მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით ახალი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) შექმნის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის წარდგინებას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის გაყოფის/მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების

დასაბუთება; ბ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში) შემავალი დასახლებების ჩამონათვალი და მოსახლეთა რაოდენობა; გ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა; დ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) სახელწოდება (სახელწოდებები); ე) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის (თვითმმართველი თემების) ადმინისტრაციული ცენტრი (ცენტრები); ვ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება, მისი არსებობის შემთხვევაში; ზ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები; თ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა, მისი არსებობის შემთხვევაში. 7. თვითმმართველი თემის სრული სახელწოდება შედგება თვითმმართველი თემის სახელწოდებისა და თვითმმართველი ერთეულის ზოგადი დასახელებისგან – „მუნიციპალიტეტი“. თვითმმართველი ქალაქის სრული სახელწოდება შედგება დასახლების კატეგორიის დასახელებისგან – „ქალაქი“, ქალაქის სახელწოდებისა და თვითმმართველი ერთეულის ზოგადი დასახელებისგან – „მუნიციპალიტეტი“.

8. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ამოქმედდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს და შესაბამის მუნიციპალიტეტში არჩევნები გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგ არჩევნებთან ერთად. ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს პირველ შეკრებამდე და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის არჩევამდე შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება არჩევნებამდე არსებული საკრებულოსა და გამგებლის/მერის უფლებამოსილებანი.

9. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით,

საკუთარი ინიციატივით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის (გარდა თვითმმართველი ქალაქისა) ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის შესახებ წარდგინებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დადგენა ხდება მუნიციპალიტეტის შექმნის დროს.

10. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

- ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის საჭიროების დასაბუთება;
- ბ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

გ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

11. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის შესახებ საქართველოს მთავრობის წარდგინებას უნდა დაერთოს:

- ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის საჭიროების დასაბუთება;
- ბ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

გ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება, მისი არსებობის შემთხვევაში.

12. მუნიციპალიტეტის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დადგენისა და შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს საქართველოს მთავრობის წარდგინებით, დადგენილებით იღებს საქართველოს პარლამენტი.

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით, საკუთარი ინიციატივით, მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან და მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებით.

2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

გ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

დ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

3. მუნიციპალიტეტების საკრებულოები უფლებამოსილი არიან, შესაბამის სამთავრობო კომისიას მიმართონ ერთობლივი შუამდგომლობით. ერთობლივ შუამდგომლობას უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ერთობლივი შუამდგომლობის ტექსტს და თანდართულ დოკუმენტაციას იწონებენ აღნიშნული მუნიციპალიტეტების საკრებულოები. ერთობლივ შუამდგომლობას ხელს აწერენ ამ მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები.

4. თუ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარადგინა, შესაბამისი სამთავრობო კომისია ვალდებულია კონსულტაცია გამართოს იმ მუნიციპალიტეტის



(მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) და მოსახლეობასთან, რომლებსაც შეიძლება შეეხოთ ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა.

5. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს მთავრობის წარდგინებას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

გ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები; დ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება, მისი არსებობის შემთხვევაში; ე) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა, მისი არსებობის შემთხვევაში.

6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის წარდგინებით, დადგენილებით იღებს საქართველოს პარლამენტი.

## **მუხლი 12. მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან კონსულტაციის გამართვის წესი**

1. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებებს და მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შესაბამის შუამდგომლობას საქართველოს მთავრობის მიერ განსახილველად ამზადებს შესაბამისი სამთავრობო კომისია.

2. შესაბამისი სამთავრობო კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან კონსულტაციის მიზნით ამ კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“-„ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებითა და მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას უგზავნის მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოებს). მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია საკრებულოს სხდომაზე განიხილოს აღნიშნული დოკუმენტაცია და შესაბამის სამთავრობო კომისიას თავისი მოსაზრება წერილობით წარუდგინოს დოკუმენტაციის

მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღისა. მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან), რომლის (რომელთა) შუამდგომლობაც წარდგენილი აქვს შესაბამის სამთავრობო კომისიას, კონსულტაცია არ იმართება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში კონსულტაცია გამართულად ითვლება და საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შესაბამისი წარდგინებით მიმართოს საქართველოს პარლამენტს. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება რჩება, თავისი მოსაზრება წერილობით წარუდგინოს უშუალოდ საქართველოს პარლამენტს.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება ფორმდება საკრებულოს სხდომის ოქმით. ამ ოქმში აისახება განსახილველი საკითხის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოზიცია და სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები.

5. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვას უზრუნველყოფს შესაბამისი სამთავრობო კომისია, ხოლო შუამდგომლობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარდგენის შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

5. მოსახლეობასთან კონსულტაცია იმართება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან საჯარო განხილვის ფორმით. შესაბამისი სამთავრობო კომისია/მუნიციპალიტეტი საკითხის საქართველოს მთავრობისთვის/საქართველოს სამთავრობო კომისიისთვის განსახილველად წარდგენამდე საჯაროდ აქვეყნებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებად ითვლება მისი გამოქვეყნება ბეჭდვით გამოცემაში, რომელიც ვრცელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე) და გამოიცემა

კვირაში ერთხელ მაინც. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ინფორმაცია ბეჭდვით გამოცემაში გამოქვეყნების ნაცვლად საჯაროდ გამოაცხადოს.

8. დაინტერესებული პირები უფლებამოსილი არიან, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში შესაბამის სამთავრობო კომისიას/მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინონ საკუთარი მოსაზრებები. საჯარო განხილვის პროცესში შეიძლება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრები გაიმართოს.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის შექმნის, გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი**  
მუნიციპალიტეტის შექმნის, გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 14. მუნიციპალიტეტების რეგისტრაცია** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. მუნიციპალიტეტების შესახებ ზოგადი მონაცემების ერთიანი აღნუსხვის მიზნით იქმნება მუნიციპალიტეტების მონაცემთა სისტემური ერთობლიობა – მუნიციპალიტეტების რეესტრი. 2. მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო მონაცემებია:  
ა) მუნიციპალიტეტის დასახელება;  
ბ) თვითმმართველ თემში შემავალი დასახლებების დასახელებები (თითოეული დასახლების კატეგორიის მითითებით);  
გ) თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრის დასახელება;  
დ) მუნიციპალიტეტის გამომხდელად რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო კოდი; ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა. 3. სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის რეგისტრაციას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

## მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება

**მუხლი 15. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეები** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან) 1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია: ა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები; ბ) მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები. 2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს. 3. მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე.

2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა

და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ე) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;

ზ) მუნიციპალური ნარჩენების მართვა; (26.12.2014. N2995 ამოქმედდეს 2015 წლის 15 იანვრიდან) თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და ღვთის/გაჩერების წესების რეგულირება;

ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ო) შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით;

პ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით;

ჟ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

რ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ს) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

ტ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

უ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ფ) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

**მუხლი 17. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია.

2. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, აგრეთვე საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

3. სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს შორის, ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნების დაცვით. ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. (30.07.2014. N2589)

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს.

5. უფლებამოსილებების დელეგირებისას იმავე აქტით უნდა განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას გაუწევს.

**მუხლი 18. სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად



გამოცხადების

დღიდან)

ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ, მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტით დაადგინონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები.

**მუხლი 19. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმები და მექანიზმები** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების

შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) იღებენ/გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ბ) შეიმუშავენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს,

სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს; გ) ახორციელებენ შესყიდვებს; დ) დებენ

ხელშეკრულებებს; ე) იძენენ და ქმნიან მუნიციპალიტეტის საკუთრებას;

ვ) ფლობენ და განკარგავენ მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, სარგებლობენ ამ ქონებით, აგრეთვე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის და სხვა პირების ქონებით;

ზ) აფუძნებენ და მართავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;

თ) იღებენ სესხს; ი) ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას;

კ) მომსახურების ხარისხისა და მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის

სისტემების დანერგვასა და განვითარებას; ლ) ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს.

**მუხლი 20. მუნიციპალიტეტის უფლება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებასა და ამ პირში განწევრებაზე** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და გახდეს მისი წევრი. (22.07.2015. N4087)
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება აქვს, ორგანიზება გაუწიოს ერთობლივ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროში, მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში, ითანამშრომლოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან (ასოციაციებთან), აგრეთვე დაამყაროს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში შესაბამის უცხოურ კავშირებთან (ასოციაციებთან) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

**მუხლი 21. მუნიციპალიტეტების უფლება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების ორგანიზებაზე** (ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან)

1. მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების განწევის მიზნით, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად დააფუძნონ ამ კანონით გათვალისწინებული ერთობლივი კერძო სამართლის იურიდიული პირი ან გახდნენ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული მენარმე იურიდიული პირის პარტნიორები/აქციონერები/დამფუძნებლები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრები. მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი

არიან, საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით შექმნან ერთობლივი სამსახური. (22.07.2015. N4087)

2. ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა მუნიციპალიტეტთან დადოს ხელშეკრულება საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს იღებს/იღებენ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანო/ორგანოები მუნიციპალიტეტის/ მუნიციპალიტეტების საკრებულოს/საკრებულოების თანხმობით. (22.07.2015. N4087)

დასკვნა

ნაშრომის შეჯამებისას აუცილებელია კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ საზოგადოებაში თვითმმართველობის უდიდეს როლს. დღეის მდგომარეობით თვითმმართველობისადმი დღევანდელი მიდგომის შესაბამისად, ადამიანთა ჯგუფებს ცხოვრება უხდებათ სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოში, რაც მათი სამეურნეო, პოლიტიკური და სოციალური ყოფის სპეციფიკურობას განაპირობებს და სოციალური მართვის სირთულეებთანაა დაკავშირებული. იმის აუცილებლობაც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ჯგუფებსა და მათ ხელისუფლებას, აღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლება აქვთ თვითონ ღებულობდნენ მათთვის საჭირო გადაწყვეტილებებს. ამასთან, ხელისუფლების ასეთი დონე ადვილად მისაწვდომი და საურთიერთობაა შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ ნებისმიერი ადამიანისათვის და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მაღალ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში ხალხი სწორედ ხელისუფლების ამ დონეზე ახდენს უშუალო და ყველაზე ძლიერ გავლენას, მაშინ ლოგიკურად მივალთ იმ აზრამდე, რომ თვითმმართველობა სხვა და სხვა დონეებს შორის ხელისუფლების განაწილებას გულისხმობს, რაც საშუალებას გვაძლევს ადგილობრივი თვითმმართველობა განვიხილოთ, როგორც ხელისუფლების განხორციელების მექანიზმის კანონზომიერი, ობიექტურად არსებული ნაწილი, ურომლისოდაც ისევე, როგორც ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე, შეუძლებელია ქვეყნის მართვა“

თუ ვიმსჯელებთ დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე ადგილობრივი თვითმმართველობის სიტემა კიდევ უფრო დასახვეწია, საჭიროა გაიზარდოს თვითმმართველი ერთეულები რათა შესაბამისმა ხელმძღვანელობამ უფრო ადვილად მოახერხოს ადამიანების მდგომარეობის შესწავლა და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ლოსაბერიძე დავით, კანდელაკი კონსტანტინე, აბულაძე მამუკა, კონჯარია ოთარ “ადგილობრივი თვითმმართველობა“
2. მელქაძე ოთარ “ქართული მუნიციპალიზმი“
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
4. ჟურნალი „ისტორიანი“
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41>
6. <https://emc.org.ge/ka/products/adgilobrivi-tvitmmartvelobis-damoukideblobis-garantiebi-sakartvelos-konstitutsiashi>